ვიქტორია და ნიაგარა

შენი აზრით, რით შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან ჩანჩქერები: ვიქტორია და ნიაგარა? წაიკითხე ტექსტი და შეამონმე შენი ვარაუდი.

ვიქტორია და ნიაგარა ულამაზესი **ჩანჩქერებია**.

ვიქტორია არა მარტო ლამაზი, არამედ ერთ-ერთი უდიდესი ჩანჩქერია. ის აფრიკაშია, მდინარე ზამბეზზე. ვიქტორია ორი ქვეყნის, ზამბიისა და ზიმბაბვეს, **საზღვარზეა.** მას ინგლისის დედოფლის სახელი ჰქვია.

ვიქტორია სიგანეში 1708 მეტრია და 108 მეტრი სიმაღლიდან ვარდება. ვარდნის ხმა თითქმის 40 კმ-ზე ისმის. წყლის ვარდნის დროს 400 მეტრი სიგანის **ნისლი** ჩნდება. წყლის **შხეფები** 50 კმ-იდანაც კი ჩანს. ეს სანახაობა შორიდან კვამლს ჰგავს. სწორედ ამიტომ ეძახიან აფრიკელები ჩანჩქერს „მგრგვინავ (ხმაურიან) კვამლს“. ჩანჩქერის წყლის წვეთები არაერთ **ცისარტყელას** ქმნის. ყველაზე საოცარი ის არის, რომ ცისარტყელა ზოგჯერ ღამითაც ჩანს.

აფრიკის ამ საოცრებას ყოველ წელს ასიათასობით უცხოელი ტურისტი სტუმრობს.

ჩანჩქერი ნიაგარაც ორი ქვეყნის, აშშ-ისა და კანადის, საზღვარზეა. მისი ერთი ნაწილი კანადის მხარეს მდებარეობს. აქ წყალი 53 მეტრი სიმაღლიდან ვარდება. იგი სიგანით 700 მეტრია. მეორე ნაწილი ამერიკის მხარესაა. მისი სიმაღლე 21-30 მეტრია, სიგანე – 323 მეტრი.

ნიაგარის სანახავად ყოველ წელს უამრავი ტურისტი ჩადის ამერიკაში. ღამით ჩანჩქერს სხვადასხვა ფერის პროჟექტორებით ანათებენ. ეს ძალიან ლამაზია.

შენი აზრით, რატომ მოსწონთ ჩანჩქერები ადამიანებს?

დონე: B გამარტივებული, **კომპონენტი:** შედარება-შეპირისპირება

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 ვიქტორია და ნიაგარა:

ა) ერთსა და იმავე ქვეყანაშია.

ბ) შხეფებით ცისარტყელას ქმნის.

გ) ორი ქვეყნის საზღვარზეა.

2 ტექსტში მოცემული ინფორმაციიდან ჩანს, რომ ვიქტორია:

ა) უფრო განიერი ჩანჩქერია.

ბ) უფრო საშიში ჩანჩქერია.

გ) უფრო ძველი ჩანჩქერია.

3 ნიაგარა ღამითაც ძალიან ლამაზია, რადგან:

ა) წყალს ფერადი პროჟექტორები ანათებს.

ბ) წყლის შხეფები შორიდან კვამლს ჰგავს.

გ) წყლის წვეთები ქმნის ცისარტყელას.

4 ტექსტში <u>არ ჩანს</u>, თუ:

ა) რატომ ეძახიან ვიქტორიას ,,მგრგვინავ კვამლს".

ბ) რატომ ჰქვია ვიქტორიას დედოფლის სახელი.

გ) რატომ მოსწონთ ტურისტებს ნიაგარა და ვიქტორია.

5 ტექსტის მთავარი მიზანია:

ა) გაგვაცნოს, რას ეძახიან აფრიკელები ვიქტორიას.

ბ) დაგვანახოს ორ ჩანჩქერს შორის მსგავსება-განსხვავება.

გ) შეადაროს ერთმანეთს ჩანჩქერები მხოლოდ ზომის მიხედვით.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. **<u>ჩანჩქერი</u> არის წყალი:**
   ა) რომელიც სიმაღლიდან ვარდება.
   ბ) რომელიც ქმნის ცისარტყელას.
   გ) რომელიც ძალიან სწრაფად მიედინება.

2. **<u>ცისარტყელა</u> არის:**
   ა) აქეთ-იქით გაბნეული წყლის წვეთები.
   ბ) შვიდფერი რკალი ცაზე.
   გ) ჰაერში დამდგარი ორთქლი.

2. ხაზს, რომელიც ორ ადგილს ყოფს ერთმანეთისგან, ჰქვია:
ა) გზა. ბ) საზღვარი. გ) სანაპირო.

3. ჰაერში დამდგარი ნაცრისფერი ორთქლი არის:
ა) კვამლი. ბ) ნისლი. გ) შხეფი.

▶▶▶ გრამატიკა

1 რომელი სიტყვებია გამოტოვებული?

1. აფრიკელები ---------- „ხმაურიან კვამლს“ ეძახიან.
   ა) ჩანჩქერი. ბ) ჩანჩქერმა. გ) ჩანჩქერს.

2. ჩანჩქერს სხვადასხვა ---------- პროჟექტორებით ანათებენ.
   ა) ფერი. ბ) ფერის. გ) ფერს.

2 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვა.

წყალი 53 მეტრი ---------- ვარდება. ***(სიმაღლიდან/სიმაღლისაგან)***

3 დაასრულე ხაზგასმული სიტყვა.

ვიქტორია არის მდინარე **<u>ზამბეზ. . .</u>**

გრამატიკა

4 რომელია სწორი?

1. ა) ქვეყანის. ბ) ქვეყნის.
2. ა) სხვადასხვა ფერები. ბ) სხვადასხვა ფერი.

5 დაწერე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: ლამაზი – ულამაზესი (ყველაზე ლამაზი).

1. დიდი – ----------.
2. ღრმა – ----------.

წერა

1 შეავსე ვენის დიაგრამა. დაწერე, რით ჰგავს ვიქტორია და ნიაგარა ერთმანეთს და რით განსხვავდება.



2 წარმოიდგინე, რომ შეგიძლია ნახო ერთ-ერთი ჩანჩქერი. დაწერე რომელს აირჩევ-დი და რატომ?

_____

_____

_____

_____